ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №88

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

25 ივნისი 2014 წელი

ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ ა(ა)იპ- „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი" დირექტორი ირაკლი ბერიძე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მარკა" დირექტორი ირაკლი ღლონტი (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ბანერების ბეჭდვა (შემდგომში მომსახურეობა) CPV კოდი:79810000, ხელშეკრულების პირობებისა და დანართი №1 შესაბამისად. რომელიც წარმოადგენს, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 643 (ექვსასორმოცდასამი) ლარს და 20 თეთრს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. №27.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 25 ივნისიდან 2014 წლის 30 ივლისამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უსრულველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირთა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობას შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს წინასწარ.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განხრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 25 ივნისიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

ა(ა)იპ "ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი"
ქ.ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. №27
საიდენტიფიკაციო კოდი: 245602110
ს.ს "ლიბერთი ბანკი"
კოდი LBRTGE22
ანგარიშიN GE44LB011516290403400

შ.პ.ს. „მარკა"
მის. ქ ბათუმი, ტაბიძის ქ. №1, ბ-40
საიდ.კოდი: 445394430
ს.ს „პროკრედიტ ბანკი"
კოდი MIBGGE22
ანგარიში №GE97PC0653600100000031

დირექტორი: /ი. ბერიძე/

დირექტორი: /ი. ღლონტი/

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი №1

№	დასახელება	კლასიფიკაციის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	ბადე ბანერის ბეჭდვა	79810000	ცალი	25.4კც.მ	18	457.20
2	სტიკერის ბეჭდვა	79810000	ცალი	5.75 კვ/მ	18	103.50
3	ბანერის ბეჭდვა ლუვერსებით	79810000	ცალი	5.5 კვ/მ	15.00	82.50
						643.20

სულ

დირექტორი: /ი. ბერიძე/

დირექტორი: /ი. ღლონტი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 25 ივნისი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ- „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი”-ს დირექტორი ირაკლი ბერიძე და მიმწოდებელი შ.პ.ს. „მარკა” დირექტორი ირაკლი ღლონტი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №88 (25.06.2014წ) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ- „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი”-ს
დირექტორი:
ირაკლი ბერიძე

შ.პ.ს. „მარკა”
დირექტორი:
ირაკლი ღლონტი